ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №52

27.12.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ვიტალი ონიანი - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს“ (AIIB) შორის პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“ (12-032436042-03.

მომხსენებელი:

- **გიორგი შარკოვი** - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორი.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს“ (AIIB) შორის პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“ (12-032436042-03).

გ.შარკოვი - პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებულ უნდა იქნეს აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB), თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის პროექტის შესახებ ხელშეკრულება (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი).

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს, თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (პროექტის განმახორციელებელი პირი) შორის 2024 წელს უნდა გაფორმდეს პროექტის შესახებ ხელშეკრულება სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმდება იმავე თარიღით საქართველოსა და ბანკს შორის. სასესხო შეთანხმების თანახმად, პროექტის დაფინანსებაში დასახმარებლად სასესხო შეთანხმების წესებისა და პირობების გათვალისწინებით, ბანკმა მსესხებელს უნდა ასესხოს თანხა ასოცდახუთი მილიონი ევროს (EUR 125,000,000) ოდენობით („სესხი“). სასესხო შეთანხმების თანახმად, პროექტის მიზანია თბილისის მეტროს სისტემის ეფექტიანობის, სანდოობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის გაზრდა ახალი მოძრავი შემადგენლობის შესყიდვის გზით. პროცენტის გადახდის თარიღებად განისაზღვრება ყოველი წლის 15 იანვარი და 15 ივლისი. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდება წინამდებარე სასესხო შეთანხმების თანდართული განრიგის შესაბამისად.

სესხის ხელშეკრულება შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- კომპონენტი A - მოძრავი შემადგენლობის შეძენა. ეს კომპონენტი დააფინანსებს ახალი ელექტრო მეტროს ვაგონების შესყიდვას, 4-ვაგონიანი და 5-ვაგონიანი კონფიგურაციის შემადგენლობის ჩათვლით და TTC-ის თანამშრომელთა გადასამზადებლად სასწავლო სიმულატორის შესყიდვას.

- კომპონენტი B - შესაძლებლობების გაზრდა და ინსტიტუციონალური გაძლიერება. კომპონენტი დააფინანსებს კონსულტანტების დაქირავებას პროექტის მართვის, შესყიდვების, მონიტორინგის, ფინანსური მართვისა და გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების კუთხით ტექნიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად; TTC-ის თანამშრომელთათვის სტრატეგიული გადასამზადებელი პროგრამებს, რაც ფოკუსირდება მეტროს თანამედროვე სისტემების ოპერირებასა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ტექნიკურ ასპექტებზე.

- კომპონენტი C - ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და წინამოსამზადებელი დიზაინი დეპოსა და გვირაბის რეაბილიტაციისთვის. კომპონენტი დააფინანსებს საკონსულტაციო ფირმის დაქირავებას ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის განსახორციელებლად (რაც მოიცავს წინასწარ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას) და ორი დეპოსა და გვირაბის, როგორც მეტროს მოდერნიზაციის ფართო მასშტაბის ნაწილის წინასწარი დიზაინების მომზადებას.

სესხის ხელშეკრულების ზოგადი პირობები წარმოადგენს პროექტის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. პროექტის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ (შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“) უნდა დანიშნოს და განახორციელოს PIU (პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი) ადეკვატური ბიუჯეტით და პერსონალით, ბანკისთვის მისაღები ფორმით, რათა გააკონტროლოს და მართოს პროექტი, კოორდინირება გაუწიოს პროექტის ყველა ასპექტს, მათ შორის, უზრუნველყოს ბანკის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობა.

თბილისის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ადეკვატური თანხა დროულად და რეგულარულად იყოს ხელმისაწვდომი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის, პროექტის ეფექტური და დროული განხორციელებისა და შესრულებისთვის.

შ.ოგბაიძე - საკითხის შესწავლისა და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში ფიქსირდება რიგი ტექნიკური უზუსტობები და საჭიროებს კორექტირებას.

შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომა უნდა გასწორდეს და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს“ (AIIB) შორის პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“ (12-032436042-03) წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით, განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე